პი ემ სი კვლევითი
ცენტრი

ფიფლ ინ ნიდ

პროფესიული განათლება DCFTA-ს კონტექსტში

2018
თბილისი

პი ემ სი კვლევითი ცენტრი პოლიტიკის ნარკვევი

პოლიტიკის ნარკვევი
პი ემ სი კვლევითი ცენტრი
ფიფლ ინ ნიდ

ქეთევან ბაბიაშვილი

პროფესიული განათლება DCFTA-ს კონტექსტში

2018
თბილისი

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION

პროექტი „**სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად**“ დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ახორციელებს „ფიფლ ინ ნიდ”

PEOPLE IN NEED
CZECH REPUBLIC

პროექტის პარტნიორები არიან:

წინამდებარე პუბლიკაცია გამოცემულია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ “ფიფლ ინ ნიდ” და პი ემ სი კვლევითი ცენტრი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

სარჩევი

შესავალი 8

მეთოდოლოგია 10

არსებული სიტუაციის მიმოხილვა 10

რეკომენდაციები 13

A. ძირითადი რეკომენდაციები 14

A1. DCFTA-ის შესახებ ინფორმაციის ინტეგრირება მეწარმეობის მოდულში.....14

A2. მეწარმეობის სწავლების პროცესში წარმატებული ექსპორტიორების და მეწარმეების აქტიური ჩართვა 15

B. დამატებითი რეკომენდაციები პროფესიული სასწავლებლებისათვის16

B1. DCFTA-ის შესახებ საინფორმაციო კვირეულების ორგანიზება პროფესიულ სასწავლებლებში 16

B2. კერძო სექტორთან ურთიერთობის საკომუნიკაციო მექანიზმისა და ინსტრუმენტის შემუშავება.....16

C. დამატებითი რეკომენდაციები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის 16

C1. საინფორმაციო სესიების ჩატარება პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებისათვის (სასურველია, მეწარმეობის მოდულის დასრულების შემდგომ) 17

C2. წარმოების ღირებულებათა ჯაჭვის შესახებ სემინარების ორგანიზება.....17

გამოყენებული ლიტერატურა.....18

დანართი: გამოკითხულთა სია.....19

დანართი: სამუშაო შეხვედრების შედეგები 20

პროფესიული განათლება DCFTA-ს კონტექსტში

მოკლე შინაარსი

2014 წელს ევროკავშირთან გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება საქართველოს ევროპასთან ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობას სთავაზობს. ამასთან, აღნიშნული შეთანხმება გამოწვევების წინაშე აყენებს ქართველ მეწერმეებს, რომელთა საქმიანობა ევროკავშირიდან შემომავალი გაზრდილ იმპორტთან კონკურენციის ფონზე უწევთ. კონკურენციის დასაძლევად კი - მეწარმეობრივი კულტურის ამაღლება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. იმისათვის, რომ საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეებმა ეფექტურად გამოიყენონ ის შესაძლებლობები, რასაც ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება სთავაზობს, მათთვის შესაბამისი ცოდნის და უნარების განვითარება ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

თვითდასაქმების წახალისებასა და მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდაში მნიშვნელოვანი როლი პროფესიულ განათლებას აკისრია. **პოლიტიკის ნარკვევის მიზანია, გამოიკვლიოს პროფესიული განათლების სისტემაში არსებული ის გამოწვევები, რომლებიც აფერხებს მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდას და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები.**

პოლიტიკის ნარკვევზე მუშაობისას გამოვლინდა პროფესიული განათლების სისტემაში არსებული ის გამოწვევები, რომლებიც აფერხებს მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდას:

- დაბალია პროფესიული სასწავლელების სტუდენტების ცნობიერების დონე DCFTA-სთან დაკავშირებით
- პროფესიულ სასწავლებლებში არ ტარდება DCFTA-ის შესახებ საინფორმაციო შეხვედრები ან სხვა სახის ღონისძიებები.
- მეწარმეობის სავალდებულო მოდული არასათანადოდ ემსახურება მეწარმეობრივი კულტურისა და აზროვნების ჩამოყალიბებას;
- სასწავლო მასალები სათანადოდ არ შეესაბამება მეწარმეობის უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სწავლების მიზნებს;
- სასწავლებლებში არასაკმარისადაა განსაზღვრული კერძო სექტორთან ურთიერთობის სტრატეგია და ფორმები, რათა ჩამოყალიბდეს სასწავლებლებსა და ბიზნეს შორის მდგრადი და ურთიერთსასარგებლო ინსტიტუციური თანამშრომლობა.

გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით შემუშავდა შემდეგი ძირითადი რეკომენდაციები (A კატეგორია), რომელთა შესრულებაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში მცირე და საშუალო

საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაზრდას და შესაძლებლობას მისცემს მათ, ისარგებლონ ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის პირობებით:

A1. DCFTA-ის შესახებ ინფორმაციის ინტეგრირება მეწარმეობის მოდულში

A2. მეწარმეობის სწავლების პროცესში წარმატებული ექსპორტიორების და მეწარმეების აქტიური ჩართვა

ქვემოთ მოცემული დამატებითი რეკომენდაციები (B კატეგორია), რომელთა შესრულებაც შესაძლებელია პროფესიული სასწავლებლების კომპეტენციების ფარგლებში, ასევე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროფესიული სასწავლებლების სტუდენტების, როგორც პოტენციური მეწარმეების განათლებას DCFTA-ის საკითხებზე.

B1. DCFTA-ის შესახებ საინფორმაციო კვირეულების ორგანიზება პროფესიულ სასწავლებლებში

B2. კერძო სექტორთან ურთიერთობის საკომუნიკაციო მექანიზმისა და ინსტრუმენტის შემუშავება

პროფესიული განათლების განვითარების პროცესში დიდი როლი აკისრია სამოქალაქო საზოგადოებას, ამიტომ მნიშვნელოვანია მათი აქტიური მონაწილეობა სისტემაში სიახლეების დანერგვის პროცესში. ქვემოთ მოცემულია დამატებითი რეკომენდაციები (C კატეგორია) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის, რაც ხელს შეუწყობს DCFTA-ის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ახალგაზრდა მეწარმეებში:

C1. საინფორმაციო სესიების ჩატარება პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებისათვის (სასურველია, მეწარმეობის მოდულის დასრულების შემდგომ)

C2. წარმოების ღირებულებათა ჯაჭვის შესახებ სემინარების ორგანიზება

შესავალი

2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (DCFTA). საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის გაღრმავებამ კერძო სექტორს შეუქმნა შესაძლებლობა გაამყაროს ეკონომიკური თანამშრომლობა ევროპასთან და გახდეს გლობალური ღირებულებათა ჯაჭვის განუყოფელი ნაწილი (EU, 2014).

საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისგან განსხვავებით, DCFTA გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. კერძოდ, DCFTA-ის ამოქმედებით საქართველოში წარმოებული საქონლისა და მომსახურებისთვის გაიხსნა მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც 28 ქვეყანასა და მის 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს აერთიანებს. საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის გაზრდას და გააუმჯობესებს ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას. ამავდროულად, DCFTA მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებს ადგილობრივ კომპანიებს, რომელთაც საქმიანობა ევროკავშირიდან შემომავალი გაზრდილ იმპორტთან კონკურენციის ფონზე უწევთ. კონკურენტუნარიანობის საკითხი მეტად მწვავედ დგას მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის, რომელთაც არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია საერთაშორისო ბაზრებსა და იმ სტანდარტებზე, რომელსაც თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება აწესებს. კერძოდ, ევროკავშირის ბაზარზე შესატანად ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია სურსათის უვნებლობის შესახებ ევროკავშირის სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს.

ერთი მხრივ შესაძლებლობების გამოყენებისათვის, და მეორე მხრივ, გამოწვევებთან გასამკლავებლად საჭიროა, საქართველოს მთავრობისა და კერძო სექტორის პროაქტიული მუშაობა ქართველი მწარმოებლების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

მეწარმეობრივი კულტურის ამაღლება მცირე და საშუალო მეწარმეების კონკურენტუნარიანობის გაზრდის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა[1]. სამეწარმეო ინიციატივა, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც ახალი კომპანიის შექმნასთან, ასევე არსებულის ცვლილებასთან, ზრდის პროდუქტიულობას (EU, 2003). თავის მხრივ, ნებისმიერ ახალ იდეას ახალი წამოწყებითვე პასუხობენ სხვა კომპანიები, რაც ქმნის კონკურენტულ გარემოს და ზრდის ეფექტურობას. შედეგად, ბაზარზე იქმნება მრავალფეროვანი პროდუქცია დაბალ ფასად. კომპანიებს შორის გაზრდილი კონკურენცია კი ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას ზრდის საერთაშორისო ბაზარზე.

ევროკომისია "მეწარმეობას" განმარტავს,

[1]Recommendations for Georgia's SME Development Strategy 2016-2020.

როგორც "ცნობიერებისა და პროცესის ერთობლიობა, რომელიც ქმნის ეკონომიკურ აქტივობას რისკის აღების, შემოქმედებითობის, ინოვაციურობისა და ეფექტური მართვის საფუძველზე ახალ, ან არსებულ ორგანიზაციაში[2]". სხვა სიტყვებით, მეწარმეობა არის ადამიანის უნარი, გადააქციოს იდეა საქმედ.

განვითარებული მცირე და საშუალო ბიზნესი დიდ როლს თამაშობს ექსპორტის ზრდაში, კონკურენტურანიანობისა და ინოვაციურობის ამაღლებაში[3]. ევროკავშირში მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ეკონომიკის მდგრად და ინკლუზიურ ზრდაში[4]. მცირე და საშუალო ზომის საწარმოები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საქართველოს ეკონომიკაშიც, კერძოდ, მათი წილი საწარმოების მთლიან რაოდენობაში 94%-ია. თუმცა, მცირე და საშუალო საწარმოების მიერ შექმნილი დამატებითი ღირებულების წილი მთლიან ეკონომიკაში საკმაოდ დაბალია, რაც შესაძლოა აიხსნას მცირე და საშუალო ბიზნესის კონცენტრაციით დაბალი დამატებითი ღირებულების შემქმნელ საქმიანობებში (OECD, 2016). ამ სექტორის დაბალპროდუქტიულობა და არაკონკურენტუნარიანობა გამოწვეულია ასევე ბიზნესის წარმოებისა და მეწარმეობის უნარების არქონით[5]. OECD-ის მცირე და საშუალო საწარმოების პოლიტიკის ინდექსის ანგარიშის (2016), თანახმად, მეწარმეობის სწავლებისა და ქალთა მეწარმეობის განვითარების მიხედვით საქართველო ლიდერია აღმოსავლეთ თანამშრომლობის ქვეყნებს შორის, თუმცა, კვლავ ჩამორჩება ევროკავშირის წევრებს[6].

შესაბამისად, იმისათვის, რომ საქართველომ ეფექტურად გამოიყენოს ის შესაძლებლობები, რასაც ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება სთავაზობს, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის კონკურენტუნარიანობაში კი მნიშვნელოვნი როლი პროფესიულ განათლებას აკისრია. ეს გამოვლინდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და DCFTA საქართველოში[7], ფარგლებში ჩატარებული სემინარის შედეგადაც. შეხვედრის მონაწილეებმა, რომლებსაც ძირითადად, სამინისტროებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები შეადგენდნენ უნარები განსაზღვრეს, როგორც აუცილებელი პირობა DCFTA-ით სარგებლობისათვის. შესაბამისად, პროფესიული განათლების განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქვეყნის ეკონომიკის

[2] European Commission, Entrepreneurship in Europe, Green Paper, Brussels, 21.01.2003

[3] http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek_politika/eng_sme_development_strategy.pdf

[4] The share of SMEs in the total number of active enterprises constitutes 94% (medium – 9% and small – 85%), SME Development Strategy of Georgia 2016-2020, Government of Georgia

[5] SME Development Strategy of Georgia 2016-2020, Government of Georgia

[6] SME Policy Index: Eastern Partner Countries 2016, OECD

[7] პროექტს ახორციელებს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)

კონკურენტუნარიონობის ამაღლებისაკენ.

პოლიტიკის ნარკვევის მიზანია, გამოიკვლიოს პროფესიული განათლების სისტემაში არსებული ის გამოწვევები, რომლებიც აფერხებს მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდას და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციების.

მეთოდოლოგია

პოლიტიკის ნარკვევი ეყრდნობა ინტერვიუებს პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, ასევე, საკანონმდებლო აქტებს, დადგენილებებს, საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევითი ორგანიზაციების მიერ მომზადებულ კვლევების ანგარიშებს. დაინტერესებულ მხარეებთან გაიმართა ნახევრად სტრუქტურირებული ინდივიდუალური ინტერვიუები. კითხვარი შეეხო შემდეგ ძირითად საკითხებს: DCFTA-ის შესახებ სტუდენტთა ინფორმირებულობის დონე და მათი ცნობიერების ასამაღლებად განხორციელებული აქტივობები; მეწარმეობის სწავლების ძირითადი გამოწვევები; სწავლების მეთოდი და მასალები; მასწავლებელთა კვალიფიკაცია და გამოცდილება; კერძო სექტორთან ურთიერთობის ფორმები და გამოწვევები.

არსებული სიტუაციის მიმოხილვა

პროფესიული განათლება საქართველოში მრავალი გამოწვევის წინაშე დგას - საგანმანათლებლო პროგრამების შეუსაბამობა შრომის ბაზარზე ამჟამად არსებულ და სამომავლო მოთხოვნებთან, პროფესიული განათლების სფეროში პედაგოგების მომზადებისა და პროფესიული განვითარების სისტემის არარსებობა, სოციალური პარტნიორებისა და სამოქალაქო საზოგადოების ნაკლები ჩართულობა[8], კერძო სექტორის ჩართულობის არასაკმარისი დონე. არსებული გამოწვევები განაპირობებს პროფესიული განათლების ნაკლებ მიმზიდველობას, განსაკუთრებით კი ახალგზარდებში. ყოველივე ეს აფერხებს პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულების თვითდასაქმების დონის ზრდას, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის ქვეყანაში მცირე და საშუალო სამეწარმეო სექტორისა და, ზოგადად, მეწარმეობრივი კულტურის განვითარებას. კურსდამთავრებულთა კვლევის თანახმად, მათი მხოლოდ 5%-ია თვითდასაქმებული, 51.6% კი - საერთოდ არ მუშაობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობით[9]. პროფესიული სასწავლებლების ნაკლებ მიმზიდველობა განაპირობებს ქვეყანაში კვალიფიკაციის არასაკმარის დონეს, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის მცირე და საშუალო

[8] პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები).

[9] 2015 წლის კურსდამთავრებულთა კვლევა (Tracer Study) ანგარიში, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

ბიზნესის განვითარებასა და ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის პირობებით სარგებლობას.

უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა პროფესიულ განათლებაში მეწარმეობის სწავლების დანერგვის მიმართულებით. 2015 წელს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის სტუდენტებისათვის მეწარმეობა სავალდებულო მოდული გახდა. მოდულს ექვსი მოსალოდნელი შედეგი აქვს: ბიზნესის დაგეგმვა, ბიზნესის რეგისტრაცია, ბიზნესის მართვა, პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაცია, გამარტივებული ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება და ადამიანური რესურსების მართვა. მოდულის მიზანია სტუდენტებისათვის მეწარმეობრივი ხედვისა და მოტივაციის განვითარება, რაც მომავალში მათ მიერ საკუთარი ბიზნესის წამოწყების საფუძველი გახდება. ასევე, მეწარმეობის სწავლება მიზნად ისახავს ისეთი ცოდნისა და უნარების განვითარებას, რაც სტუდენტებს დაეხმარებათ მცირე ზომის საწარმოს შექმნაში, ან არსებული საოჯახო ბიზნესის გაფართოებაში. მეწარმეობის მოდულის სტუდენტები ფასდებიან ბიზნესგეგმის საფუძველზე, რომელსაც თითოეული მათგანი ინდივიდუალურად ადგენს. მოდულის რეკომენდაციით, სასურველია გეგმაში ასახული ბიზნესის თემატიკა დაკავშირებული იყოს სტუდენტის პროფესიასთან.

მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, პროფესიული განათლების სისტემა შემდეგი გამოწვევების წინაშე დგას:

უპირველეს ყოვლისა, სასწავლო მასალები შეუსაბამოა მეწარმეობის უნარების განვითარებაზე ორიენტირებული მოდულისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მეწარმეობის მასწავლებლები არ არიან შეზღუდულები სასწავლო მასალების შერჩევისას, პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლების უმრავლესობა იყენებს სახელმძღვანელოს - "მეწარმეობა[10]". სახელმძღვანელო, რომელიც სწორედ პროფესიული განათლების დაწესებულებებში მეწარმეობის სავალდებულო მოდულის სწავლებისათვის არის მომზადებული, მიზნად ისახავს სტუდენტების მეწარმეობრივი ხედვისა და მოტივაციის ამაღლებას. თუმცა, შედგება მხოლოდ ისეთი თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებისაგან, რომლებიც ბიზნესის წამოწყებისა და მართვის ტექნიკურ მხარეებს ეხება. კერძოდ, სახელმძღვანელო მოიცავს ბიზნესის დაგეგმვის, რეგისტრაციის, მართვის, ადამიანური რესურსების მართვის, მარკეტინგის, რეალიზაციისა და ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებს.

[10] მომზადებულია სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

თითოეულ საკითხს მოსდევს სავარჯიშოები, რომლებზე პასუხის გაცემაც ტექსტის საშუალებითაა შესაძლებელი და შესაბამისად, არ მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებასა და ანალიზს. სევე, სახელმძღვანელოში არაა გათვალისწინებული DCFTA-სთან დაკავშირებული საკითხები. მაგალითად, ერთ-ერთი თავი ეთმობა ლიცენზიებს, ნებართვებსა და სერტიფიკატებს (თავი 1.5, გვერდი 75), რომელშიც აღწერილია საგარეო ვაჭრობაში გამოსაყენებელი სერტიფიკატები (ვეტერინარული, ფიტოსანიტარული, საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი), თუმცა, სახელმძღვანელოში არ არის ნახსენები DCFTA და ის მოთხოვნები, რომელსაც ხელშეკრულება საქართველოს ამ მიმართულებით უწესებს.

ასევე, სახელმძღვანელოში მოცემული წარმატებული მეწარმეების რეალური მაგალითები შეუსაბამოა ქართულ რეალობასთან (ISET, 2016). მიუხედავად იმისა, რომ მეწარმეობის მასწავლებლები თავისუფალი არიან სასწავლო მასალის არჩევისას და აქვთ მიღებული რეკომენდაცია, აქტიურად გამოიყენონ ინტერნეტრესურსები, კვლევისას გამოკითხულთა უმრავლესობამ სწორედ "მეწარმეობა" დაასახელა მეწარმეობის სწავლებისას გამოყენებულ ძირითად (ხშირ შემთხვევაში ერთადერთ) სასწავლო მასალად.

სწავლების ძირითადი მეთოდი თეორიული ლექციებია და შესაბამისად, არაეფექტურია სტუდენტების პრაქტიკული უნარების განსავითარებლად. ამგვარად, მეწარმეობის კურსი, რომელიც მეტწილად თეორიულია, სათანადოდ ვერ პასუხობს ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, როგორიცაა ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობა და შედეგად გაზრდილი კონკურენცია.

კვლევისას ჩატარებული ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებისათვის მეწარმეობრივი აზროვნებისა და კულტურის ჩამოყალიბების კიდევ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი კერძო სექტორთან თანამშრომლობის ნაკლებობაა. პროფესიული სასწავლებლებისა და ბიზნესის ურთიერთობა ძირითად შემთხვევებში შემოიფარგლება სტუდენტების სტაჟირებით დუალური (სამუშაოზე დაფუძნებული) განათლების პროგრამის ფარგლებში. დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა[11] პროფესიული განათლების მიმართ აჩვენებს, რომ გამოკითხული ორგნიზაციების მხოლოდ 21% იცნობს კარგად პროფესიულ სასწვლებლებს. გრაფიკზე მოცემულია პროფესიულ სასწავლებლებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის ფორმები. პროფესიულ სასწავლებლებთან პასიური თანამშრომლობის მთავარ მიზეზებად

[11] დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ, დეკემბერი, 2015. ACT.

დამსაქმებლებმა ინფორმაციის არქონა (43%), კურსდამთავრებულების არასაკმარისი კომპეტენცია (16%), პროფესიული სასწავლებლებთან თანამშრომლობასთან დაკავშირებული ზედმეტი ხარჯი (11%) და თანამშრომლობის არაეფექტურობა (11%) დაასახელა.

სასწავლებლებში არ არის განსაზღვრული კერძო სექტორთან ურთიერთობის სტრატეგია და ფორმები, რათა ჩამოყალიბდეს სასწავლებლებსა და ბიზნეს შორის მდგრადი და ურთიერთსარგებლიანი ინსტიტუციური თანამშრომლობა. პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა მცირე და საშუალო ბიზნესთან ურთიერთობისას, რომლებსაც არასაკმარისი დროისა და რესურსების გამო, არ აქვთ პროფესიულ სასწავლებლებთან ურთიერთობის პრაქტიკა.

დაბალია პროფესიული სასწავლებლის სტუდენტთა ინფორმირების დონე DCFTA-ით შექმნილი შესაძლებლობებისა და იმ მოთხოვნებისა და სტანდარტების შესახებ, რომლებიც ადგილობრივმა მეწარმეებმა უნდა დააკმაყოფილონ, რათა შეძლონ საკუთარი ნაწარმის ევროკავშირის ბაზრებზე გატანა. კვლევისას გამოკითხულთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ მათ სასწავლებლებში არ ჩატარებულა სტუდენტთა DCFTA-ის შესახებ ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებები.

რეკომენდაციები

პოლიტიკის ნარკვევის შემუშავების პროცესში ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა ის ფაქტორები, რომლის გაუმჯობესებაც მნიშვნელოვნად გაზრდის პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულების პროდუქტიულობას და მეწარმეობის მოტივაციას, რაც, თავის მხრივ, გააუმჯობესებს მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობას შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე. მეწარმეობის სწავლა ფოკუსირებული უნდა იყოს ისეთი უნარების განსავითარებლად, რომლებიც სტუდენტებს საშუალებას მისცემს გამოიკვლიონ შესაძლებლობები, გარდაქმნან იდეები პროდუქტად, დაამყარონ კავშირები და აღიქვან საკუთარი საქმიანობა ფართო კონტექსტში. ეს გაზრდის სტუდენტების მოტივაციას, წამოიწყონ საკუთარი ბიზნესი, სწორად შეარჩიონ საქმიანობის სახე, პროდუქტი თუ მომსახურება, სწორად დაგეგმონ განვითარების სტრატეგია, შეისწავლონ ბაზრები და შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს იმ სტანდარტების უკეთ ათვისებას და დანერგვასაც, რასაც საქართველოს ევროპასთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება უწესებს.

გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით, შემუშავდა შემდეგი ძირითადი და დამატებითი რეკომენდაციები:

A. ძირითადი რეკომენდაციები

A1. DCFTA-ის შესახებ ინფორმაციის ინტეგრირება მეწარმეობის მოდულში

DCFTA-ის შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენებისათვის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის, როგორც პოტენციური მეწარმეებისათვის, აუცილებელია ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის ფლობა. სხვადასხვა კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად ქართული კომპანიების ექსპორტით დაინტერესებისა, **დაბალია მათი ინფორმირებულობის დონე ევროკავშირის ბაზარზე საექსპორტო მოთხოვნებთან დაკავშირებით. კიდევ უფრო დაბალია DCFTA-ის შესახებ ინფორმირებულობის დონე პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებს შორის.**

სტუდენტთა ინფორმირებისათვის, კამპანია უნდა მოემსახუროს შემდეგი საკითხების გაცნობას:

- ზოგადი ინფორმაცია DCFTA-ის მიზნებისა და შინაარსის შესახებ
- ევროკავშირის რეგულაციები და ტექნიკური სტანდარტები, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო სურსათის გადამუშავების სექტორში
- მარკეტინგი და კომუნიკაცია; საერთაშორისო ბიზნესპარტნიორებთან მოლაპარაკება და პოტენციური ბაზრების შესახებ ინფორმაციის მოძიება.

პროფესიული სასწავლებლების მეწარმეებად ჩამოყალიბებისათვის, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია იმ შესაძლებლობებისა და გამოწვევების გაცნობა, რასაც ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზარი უქმნის კერძო სექტორს. ამისათვის, მნიშვნელოვანია მეწარმეობის მოდული მოიცავდეს პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტთან, მათ შორის, DCFTA-სთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორიცაა: პროდუქციისა და მომსახურების სტანდარტები, ლიცენზირება, შეფუთვა, სურსათის უვნებლობის სერტიფიკატი, გარემოს დაცვა, შრომის უსაფრთხოება და ა.შ. კერძო სექტორთან, DCFTA-ის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, საჭიროა, განისაზღვროს სწავლების მოსალოდნელი შედეგი (learning outcome) და შევიდეს შესაბამისი ცვლილებები მოდულში.

მიზანშეწონილია, მომზადდეს საინფორმაციო შინაარსის სახელმძღვანელო DCFTA-ის შესახებ, რომელიც გახდება სავალდებულო სასწავლო მასალა მეწარმეობის მოდულისათვის სტუდენტებისათვის. ასევე, მნიშვნელოვანია მეწარმეობის მასწავლებლების ცნობიერების ამაღლება ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე.

რეკომენდაციის განსახორციელებლად საჭირო ცვლილება:

რეკომენდაციის გასათვალისწინებლად საჭიროა ცვლილებების შეტანა შემდეგ ზოგად მოდულებში: მეწარმეობა 1, მეწარმეობა 2, მეწარმეობა 3. მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებში (ნაწილი 2), კერძოდ, სწავლის შედეგში - ბიზნესის

დაგეგმა და რეგისტრაცია აისახოს DCFTA-სთან დაკავშირებული საკითხები.

შენიშვნა: პროფესიულ სტანდარტებში ცვლილება ხორციელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N733-ის მიხედვით, რომელიც გულისხმობს პროფესიული სტანდარტის/მოდულის გარე და შიდა ინიცირებას. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გარდა (შიდა ინიცირება) ცვლილების ინიცირება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. გარე ინიცირების წესს განსაზღვრავს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი[12].

A2. მეწარმეობის სწავლების პროცესში წარმატებული ექსპორტიორების და მეწარმეების აქტიური ჩართვა

აუცილებელია, რომ მეწარმეობის მოდულის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი წარმატებული რეალური მაგალითების განხილვა გახდეს. ამისათვის სასწავლებლემა მუდმივად უნდა მოიწვიონ წარმატებული მეწარმეები საჯარო ლექციებისა და დისკუსიების მოსაწყობად. **სასურველია პროფესიულ სასწავლებლებში წარმატებული ექსპორტიორების მიწვევა, რომელთაც უკვე ისარგებლეს DCFTA-ის შესაძლებლობებით და დააგროვეს გამოცდილება ამ მიმართულებით.** როგორც საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა გვიჩვენებს, ეს მეტად რეალისტურს ხდის სტუდენტებისთვის საკუთარი იდეების განხორციელებას.

რეგიონული პროფესიული სასწავლებლებისათვის მნიშვნელოვანია, ასევე, live webinar-ების გამართვა წარმატებულ ექსპორტიორებთან და მეწარმეებთან, რაც დაზოგავს სასწავლებლების დროსა და რესურსებს.

რეკომენდაციის განსახორციელებლად საჭირო ცვლილება:

რეკომენდაციის გასათვალისწინებლად საჭიროა ცვლილებების შეტანა შემდეგ ზოგად მოდულებში: მეწარმეობა 1, მეწარმეობა 2, მეწარმეობა 3. მოდულის დამხმარე ჩანაწერებში (ნაწილი 3), კერძოდ, რეკომენდაციებში სწავლებისა და შეფასების შესახებ, ერთ-ერთ მეთოდად განისაზღვროს სწავლების პროცესში პრაქტიკოსი მეწარმეებისა და ექსპორტიორების მოწვევა და დისკუსია. აქვე, სასწავლებლებს რეკომენდაცია გაეწიოთ, პერმანენტულად მოახდინონ ასეთი პირების იდენტიფიცირება და სასწვლო პროცესში ჩართვა.

[12] http://eqe.ge/geo/static/341/vocational-education/gare-initsireba

B. დამატებითი რეკომენდაციები პროფესიული სასწავლებლებისათვის

B1. DCFTA-ის შესახებ საინფორმაციო კვირეულების ორგანიზება პროფესიულ სასწავლებლებში

მნიშვნელოვანია პროფესიულმა სასწავლებლებმა ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობით წელიწადში ორჯერ ორგანიზება გაუწიონ DCFTA-ის საინფორმაციო კვირეულს, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებისთვის გაიმართება ინტენსიური საინფორმაციო კამპანიები. ასევე, მიზანშეწონილია სასწავლებლებში მოეწყოს საინფორმაციო კუთხე DCFTA-ის შესახებ, სადაც სტუდენტებს ნებისმიერ დროს შეეძლებათ სასურველი ინფორმაციის მიღება. ასევე, აუცილებელია მოხდეს სტუდენტების ინფორმირება CSO-ებში განთავსებული რესურსმაგიდების შესახებ, სადაც მათ შეეძლებათ უფრო ამომწურავი და დეტალური ინფორმაციის მიღება მათთვის საინტერესო საკითხებზე.

B2. კერძო სექტორთან ურთიერთობის საკომუნიკაციო მექანიზმისა და ინსტრუმენტის შემუშავება

კერძო სექტორთან ეფექტური თანამშრომლობისათვის მნიშვნელოვანია ქმედითი ინსტრუმენტის შემუშავება, რაც დაეხმარება სასწავლებლებს სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარების უკეთ შეძენაში. ამისათვის საჭიროა, თითოეულ სასწავლებელში მოხდეს კერძო სექტორთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირის (შესაძლოა, ასეთი პირი იყოს მეწარმეობის მასწავლებელი) იდენტიფიცირება, რომელსაც დაევალება კერძო სექტორთან მუდმივი კომუნიკაცია; წარმატებული და საინტერესო მეწარმეების გამოვლენა და სასწავლებელში მისი მოწვევის ორგანიზება; სტუდენტებისათვის პრაქტიკის გავლის შესაძლებლობების მოძიება (მეწარმეობრივი აზროვნების განსავითარებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრაქტიკის გავლა არა დიდ, არამედ პატარა ან საშუალო ზომის საწარმოში, რათა სტუდენტი თვითონ გახდეს ბიზნესის განვითარების მონაწილე).

ქიდან გამომდინარე, რომ შეზღუდული რესურსების გამო, ხშირ შემთხვევაში, სასწავლებლებს უჭირთ წარმატებული მეწარმეების იდენტიფიცირება მათთან შემდგომი თანამშრომლობის მიზნით, სასურველია, შეიქმნას მსგავსი ინფორმაციის სასწავლებლებს შორის გაზიარების მექანიზმი, რაც მნიშვნელოვნად დაზოგავს მათ დროსა და რესურსებს.

C. დამატებითი რეკომენდაციები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის

პროფესიული განათლების განვითარების პროცესში დიდი როლი აკისრია სამოქალაქო საზოგადოებას (პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013-2020), ამიტომ მნიშვნელოვანია მათი აქტიური მონაწილეობა სისტემაში სიახლეების დანერგვის პროცესში. ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის, რაც ხელს შეუწყობს DCFTA-ის შესახებ

ცნობიერების ამაღლებას ახალგაზრდა მეწარმეებში:

C1. საინფორმაციო სესიების ჩატარება პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებისათვის (სასურველია, მეწარმეობის მოდულის დასრულების შემდგომ)

ამ პროცესში ეფექტური იქნება იმ რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა (CSO) და ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების (LAG) გამოყენება, რომლებსაც DCFTA-სთან დაკავშირებული სხვადასხვა თემატიკის ტრენინგი ჩაუტარდათ ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციებული პროექტის, "სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად", ფარგლებში. ამ ორგანიზაციების გადამზადების მიზანია, შემდგომში მათ კონსულტაცია გაუწიონ რეგიონებში მოქმედ მეწარმეებს DCFTA-ის საკითხებთან დაკავშირებით. სასურველია, პროექტის მონაწილე ორგანიზაციები ასევე აქტიურად ჩაერთონ პროფესიული სასწავლებლების სტუდენტების საინფორმაციო კამპანიებშიც. კერძოდ, ორგანიზება გაუწიონ საინფორმაციო სესიებს საკუთარი რეგიონის პროფესიულ სასწავლებლებში მეწარმეობითა და ექსპორტით დაინტერესებული სტუდენტებისათვის. სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა პროფესიული განათლების განვითარებაში პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

C2. წარმოების ღირებულებათა ჯაჭვის შესახებ სემინარების ორგანიზება

ექსპორტის პოტენციალის გაზრდისათვის მეწარმისათვის აუცილებელია პროდუქტის ღირებულებათა ჯაჭვის მთლიანი პროცესის აღქმა და თითოეულ რგოლთან დაკავშირებული გამოწვევების გააზრება. სასურველია, პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებისათვის შემუშავდეს მოკლე საინფორმაციო სემინარი, რომელიც მათ გააცნობს პროდუქციის წარმოება-რეალიზაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. კურსი საშუალებას მისცემს ექსპორტით დაინტერესებულ სტუდენტებს სწორად განსაზღვრონ პროდუქციის საექსპორტო პოტენციალი და შესაბამისად დაგეგმონ საკუთარი საწარმოს საქმიანობა. სასურველია, კურსი მოიცავდეს ღირებულაბათა ჯაჭვის ანალიზების უკვე არსებულ მაგალითებს. ამ პროცესში ეფექტური იქნება პროექტის, "სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად", მონაწილე CSO-ების მონაწილეობა, რომელთაც გაიარეს ღირებულებათა ჯაჭვის შესახებ თეორიული მომზადება და შემდგომა თავად მოამზადეს კვლევები შერჩეულ პროდუქტებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

European Commission, Proposal for a Recommendation on Key Competences for Lifelong Learning, COM (2005)548 final.

European Commission, Entrepreneurship in Europe, Green Paper, Brussels, 21.01.2003.

European Commission, 2011. Entrepreneurship Education: Enabling Teachers as a Critical Success Factor.

საქართველოს მთავრობა, საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია – 2016-2020 წლებისთვის

ISET, 2016. სამეწარმეო განათლება საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში.

LEPL National Center for Educational Quality Enhancement, 2015. *Entrepreneurship.*

OECD, 2016. SME Policy Index: Eastern Partner Countries 2016.

OECD, 2016. Recommendations for Georgia's SME Development Strategy 2016-2020.

დანართი: გამოკითხულთა სია

სახელი, გვარი	პოზიცია
მამუკა მათიაშვილი	მრჩეველი პროფესიული განათლების საკითხებში, UNDP
თამარ ქიტიაშვილი	მრჩეველი პროფესიული განათლების საკითხებში, UNDP
მარიკა ზაქარეიშვილი	პარტნიორობის განვითარების სამმართველოს უფროსი, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ილია ოშხერელი	დირექტორის მოადგილე, პროფესიული კოლეჯი "ერქვანი" (ამბროლაური)
ზელა ავალიშვილი	დირექტორი, პროფესიული კოლეჯი "ოპიზარი" (ახალციხე)
მალხაზ ასლამაზიშვილი	დირექტორი, პროფესიული კოლეჯი "აისი" (კაჭრეთი)
ოთარ დაბრუნდაშვილი	დირექტორის მოადგილე, ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი (წინამზღვრიანთკარი)
თეა ლილუაშვილი	ხარისხის მენეჯერი, ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი (წინამზღვრიანთკარი)
თეონა გელბახიანი	მეწარმეობის მასწავლებელი, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია"

დანართი: სამუშაო შეხვედრების შედეგები

პი ემ სი კვლევითმა ცენტრმა ჩაატარა სამუშაო შეხვედრები სამცხე-ჯავახეთის და აჭარის რეგიონებში და თბილისში, სადაც მოწვეულ იქნენ ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის და კახეთის რეგიონების სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები. გარდა ამისა, სამუშაო შეხვედრებს ესწრებოდნენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, მეწარმეები და პროფესიული/საზოგადოებრივი კოლეჯების წარმომადგენლები. კვლევის ავტორმა გააცნო დამსწრეებს მთავარი მიგნებები, პრობლემები და რეკომენდაციები, რასაც სხვადასხვა ორგანიზაციის წამომადგენლები დაეთანხმნენ. პრეზენტაციის შემდგომი დისკუსიისას გამოიკვეთა რამდენიმე დამატებითი ფაქტორი, რომლებიც ამ დანართშია წარმოდგენილი.

DCFTA-ს შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება

სამუშაო შეხვედრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მიზანშეწონილია DCFTA-ს შესახებ ინფორმაციის პროფესიული სტუდენტებისთვის და მეწარმეებისთვის ხელმისაწვდომ ადგილას განთავსება, რაც შესაძლოა იყოს რესურს-მაგიდა პროფესიულ/საზოგადოებრივ კოლეჯებში, ასევე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონულ ცენტრებში. როგორც აღინიშნა, ინფორმირებულობის დაბალი დონის გამო, ბევრ ფერმერს და მეწარმეს აქვს წარმოდგენა, რომ პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გასატანად საჭირო მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლებელია მათი რესურსებით და ამ შესაძლებლობას არც განიხილავენ.

პროფესიული განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლება სკოლებში

როგორც პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, პროფესიული სტუდენტების ასაკი საშუალოზე მაღალია. მონაწილეების აზრით, აუცილებელია, სკოლებში მოხდეს პროფესიული განათლების, როგორც დასაქმების მაღალი მაჩვენებლით გამორჩეული ალტერნატივის შესახებ სკოლებში ცნობიერების ამაღლება. აღნიშნული გაზრდის და გააახალგაზრდავებს პროფესიული სტუდენტების პოპულაციას, რაც ხელს შეუწყობს მეწარმეობით უფრო მეტი ადამიანის დაინტერესებას და შესაბამისად, ამ სფეროს განვითარებას.

თანამშრომლობა კოლეჯებს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის

შეხვედრების მსვლელობისას, როგორც პროფესიული/საზოგადოებრივი კოლეჯების, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გამოთქვეს ურთიერთთანამშრომლობის სურვილი. კოლეჯების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შესაბამისი წინადადების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია მათ ტერიტორიაზე DCFTA-ს შესახებ რესურს მაგიდების განთავსება და სიამოვნებით გაუწევენ ორგანიზებას სტუდენტების შეხვედრებს CSO-ების წარმომადგენლებთან. თავის მხრივ, CSO-ების წარმომადგენლებმაც მზადყოფნა გამოთქვეს აღნიშნულში მონაწილეობისთვის.

ენობრივი ბარიერი ადგილობრივ მეწარმეებში

როგორც შეხვედრებზე დამსწრეებმა აღნიშნეს, ერთ-ერთი პრობლემა, რაც აფერხებს ინფორმაციის გავრცელებას მეწარმეებში, არის ენობრივი ბარიერი. მათი თქმით, სტანდარტების დიდი ნაწილი ინგლისურ ენაზეა და ფერმერებს და ადგილობრივ მეწარმეებს არ აქვთ საშუალება, დეტალურად გაეცნონ მოთხოვნებს მათი დანერგვის მიზნით. შესაბამისად, მიზანშეწონილია სრული მასალის თარგმნა მოხდეს ქართულ ენაზე და განთავსდეს შესაბამის ვებ-გვერდზე.